

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №47
2019 წლის 8 ნოემბერი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №89 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/12/2018; 190020020.35.148.016535) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართის 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	39,204.0	41 337,6	7 793,9	33 543,8	54,613.9	16,267.8	38,346.2
გადასახადები	7,204.1	7 193,1	0,0	7 193,1	33,111.0	0.0	33,111.0
გრანტები	28,294.8	29 086,1	7 793,9	21 292,3	17,479.6	16,267.8	1,211.8
სხვა შემოსავლები	3,705.2	5 058,4	0,0	5 058,4	4,023.4	0.0	4,023.4
ხარჯები	23,785.8	24 181,6	307,2	23 874,4	27,786.6	1,221.8	26,564.7
შრომის ანაზღაურება	3,713.3	3 836,7	120,0	3 716,7	3,907.0	122.0	3,785.0
საქონელი და მომსახურება	3,140.6	3 080,2	26,8	3 053,4	3,936.4	953.3	2,983.0
პროცენტი	170.0	383,0	0,0	383,0	277.6	0.0	277.6
სუბსიდიები	13,367.0	14 254,8	124,4	14 130,4	16,466.4	135.0	16,331.4
გრანტები	344.7	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0



სოციალური უზრუნველყოფა	1,475.8	1 274,1	36,0	1 238,1	1,501.3	11.5	1,489.8
სხვა ხარჯები	1,574.5	1 352,9	0,0	1 352,9	1,697.9	0.0	1,697.9
საოპერაციო სალდო	15,418.2	17 156,0	7 486,7	9 669,3	26,827.4	15,046.0	11,781.4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	14,314.5	16 402,7	8 360,0	8 042,7	33,621.1	16,062.4	17,558.7
ზრდა	15,084.6	17 189,8	8 360,0	8 829,9	34,171.1	16,062.4	18,108.7
კლება	770.1	787,1	0,0	787,1	550.0	0.0	550.0
მთლიანი სალდო	1,103.7	753,3	-873,3	1 626,6	-6,793.7	-1,016.4	-5,777.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	945.2	606,0	-873,3	1 479,3	-7,068.9	-1,016.4	-6,052.5
ზრდა	1,360.9	1 479,3	0,0	1 479,3	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1,360.9	1 479,3	0,0	1 479,3	0,0	0,0	0,0
კლება	415.7	873,3	873,3	0,0	7,068.9	1,016.4	6,052.5
ვალუტა და დეპოზიტები	415.7	873,3	873,3	0,0	7,068.9	1,016.4	6,052.5
ვალდებულებების ცვლილება	-158.5	-147,3	0,0	-147,3	-275.2	0.0	-275.2
კლება	158.5	147,3	0,0	147,3	275.2	0.0	275.2
საშინაო	158.5	147,3	0,0	147,3	275.2	0.0	275.2
ბალანსი	0.0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	39,974.2	42 124,8	7 793,9	34 330,9	55,163.9	16,267.8	38,896.2
შემოსავლები	39,204.0	41 337,6	7 793,9	33 543,8	54,613.9	16,267.8	38,346.2
არაფინანსური აქტივების კლება	770.1	787,1	0,0	787,1	550.0	0.0	550.0



გადასახდელები	39,029.0	41 518,7	8 667,1	32 851,6	62,232.8	17,284.2	44,948.7
ხარჯები	23,785.8	24 181,6	307,2	23 874,4	27,786.6	1,221.8	26,564.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,084.6	17 189,8	8 360,0	8 829,9	34,171.1	16,062.4	18,108.7
ვალდებულებების კლება	158.5	147,3	0,0	147,3	275.2	0.0	275.2
ნაშთის ცვლილება	945.2	606,0	-873,3	1 479,3	-7 068,9	-1 016,4	-6 052,5

“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 54 613,9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	39,204.0	41 337,6	7 793,9	33 543,8	54,613.9	16,267.8	38,346.2
გადასახადები	7,204.1	7 193,1	0,0	7 193,1	33,111.0	0.0	33,111.0
გრანტები	28,294.8	29 086,1	7 793,9	21 292,3	17,479.6	16,267.8	1,211.8
სხვა შემოსავლები	3,705.2	5 058,4	0,0	5 058,4	4,023.4	0.0	4,023.4

“;

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 17 479,6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გრანტები	28,294.8	29 086,1	17,479.6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	94.4	583,5	1,211.8



სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	28,200.4	28 502,7	16,267.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	21,018.8	21 011,8	2,759.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	20,708.8	20 708,8	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	310.0	303,0	2,759.9
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6,881.6	7 490,9	13,507.8
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	6,832.0	6 963,7	11,436.1
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	1,630.0
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	49.6	0,0	0,0
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	527,1	441.8

“;

ე) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 27 786,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	23,785.8	24 181,6	307,2	23 874,4	27,786.6	1,221.8	26,564.7
შრომის ანაზღაურება	3,713.3	3 836,7	120,0	3 716,7	3,907.0	122.0	3,785.0
საქონელი და მომსახურება	3,140.6	3 080,2	26,8	3 053,4	3,936.4	953.3	2,983.0
პროცენტი	170.0	383,0	0,0	383,0	277.6	0.0	277.6
სუბსიდიები	13,367.0	14 254,8	124,4	14 130,4	16,466.4	135.0	16,331.4
გრანტები	344.7	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,475.8	1 274,1	36,0	1 238,1	1,501.3	11.5	1,489.8
სხვა ხარჯები	1,574.5	1 352,9	0,0	1 352,9	1,697.9	0.0	1,697.9

“;



ვ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 33 621,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 34 171,1 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	188.7	47,1	548.1
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	12,788.1	16 709,6	29,367.2
03 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	484.6	192,6	3,496.6
04 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	1,584.5	180,1	429.5
05 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	38.7	60,5	329.7
სულ ჯამი		15,084.6	17 189,8	34,171.1

“;

ბ) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 550,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	770.1	530.0	550.0
ძირითადი აქტივები	109.1	190.0	50.0
არაწარმოებული აქტივები	661.1	340.0	500.0
მიწა	661.1	340.0	500.0

“;

ზ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)



ფუნქცი- კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,789.5	5 758,9	6,251.6
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,619.5	5 334,5	5,896.2
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,619.5	5 334,5	5,714.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0,0	181.9
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	15,5	15.1
70131	საერთო საკადრო მომსახურება	0.0	15,5	15.1
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	170.0	408,8	340.3
704	ეკონომიკური საქმიანობა	11,891.8	16 130,8	25,609.5
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	41,6	593.5
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	41,6	593.5
7045	ტრანსპორტი	7,968.5	11 543,9	14,641.6
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,963.1	11 543,9	14,641.6
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	5.4	0,0	0,0
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	289,0	1,619.7
70473	ტურიზმი	0.0	289,0	1,619.7
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	3,923.3	4 256,3	8,754.5
705	გარემოს დაცვა	296.3	1 244,2	3,198.2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0.0	114,8	127.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	296.3	1 129,4	3,071.2
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5,929.0	4 560,5	5,621.4
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	267.7	209,3	370.0
7063	წყალმომარაგება	3,871.2	2 459,0	2,420.1
7064	გარე განათება	1,129.6	1 323,5	2,209.3
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	660.4	568,6	622.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	250.9	277,4	530.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	135.9	142,7	395.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	115.0	134,7	135.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	7,184.8	5 497,2	7,424.7



7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	4,083.3	2 846,2	4,214.7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2,636.5	2 434,5	2,916.6
7083	ტელე-რადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	26.9	56,5	71.5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	120.0	160,1	221.9
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	318.0	0,0	0,0
709	განათლება	5,826.5	6 459,2	11,453.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	5,774.9	6 415,9	8,949.6
7092	ზოგადი განათლება	46.2	43,4	2,503.9
70923	საშუალო ზოგადი განათლება	46.2	43,4	2,503.9
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	5.4	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	1,701.8	1 443,1	1,868.8
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	878.5	790,4	966.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	658.4	498,0	671.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	220.2	292,4	295.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	7.0	5,0	9.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	59.9	28,0	30.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	183.9	150,4	212.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	130.8	57,4	135.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	441.6	411,9	516.8
	სულ ჯამი	38,870.4	41 371,4	61,957.6

“;

თ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -6 793,7 ათასი ლარის ოდენობით.“;

ი) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -275,2 ათასი ლარის ოდენობით.“;



კ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ე“, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტები და მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ე) მუნიციპალური შენობების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ლიფტების და ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 05)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ა(ა)იპ-ების სარგებლობაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და ეზოების კეთილმოწყობა.

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორში ჭონქაძის ქუჩაზე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის“ შენობის მშენებლობა და ქ. გორში, ავტოსადგომისა და დამხმარე ნაგებობების მოწყობა.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში დაგეგმილია სოფელ შავშვებში და ერგენტში რიტუალების სახლების რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.“;

„ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვას და ჩატარებას, ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების, საქველმოქმედო ღონისძიებების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვას და ორგანიზებას, მოსახლეობის პოზიტიური განწყობის შექმნას, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანების და ჯგუფების წარმოჩენას და პოპულარიზაციას, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისადმი მიძღვნილი დღესასწაულის აღნიშვნას ღონისძიებებით. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს ბიბლიოთეკის, ნიკო ლომოურის, მემორიალური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების, მწერალთა და საგამომცემლო საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერას.“;

ბ.ა) სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 02)

გასული წლის ვალდებულებების ფარგლებში გათვალისწინებულია ანა ფერაძის სახელობის სამხატვრო სკოლის შენობის რეაბილიტაციის საგარანტიო თანხის დაბრუნება.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაცია.

ბ.ბ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 08)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური საინფორმაციო გაზეთის გამოცემის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის „გორის მაცნეს“ ყოველკვირეული გამოცემის ხელშეწყობას, რომელიც მოსახლეობას აცნობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს, მიღწეულ წარმატებებს და სიახლეებს სხვადასხვა სფეროში.

ასევე უზრუნველყოფს, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და შემეცნებითი შინაარსის ჟურნალის გამოცემის ხელშეწყობას;

ბ.გ) გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დაცვა (პროგრამული კოდი 04 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დაცვა;

ბ.დ) კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობის და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02 10)



ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების და ფესტივალების თანადაფინანსების უზრუნველყოფა, რომელიც ემსახურება კულტურული სფეროს გაუმჯობესებას;

ბ.ე) სოფელ არბოში ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02 11)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ არბოში ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია;

ბ.ვ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 02 17)

ქვეპროგრამის მიზანია კულტურისა და ტურიზმის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და განვითარების ხელშეწყობა; გორის მუნიციპალიტეტის ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოპულარიზაცია; ქართული მწერლობისა და ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციის ხელშეწყობა; მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა-განვითარების და ინტელექტუალური დონის ამაღლების ხელშეწყობა.“.

„4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე მუნიციპალიტეტში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელოების ღონისძიებები;



ბ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის თანამედროვე ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველების თანარსებობის უსაფრთხო და მეგობრული გარემოს შექმნა.

მიუსაფარი ცხოველების იზოლირება და სატრანსპორტო საშუალებების მიერ დაღუპული ცხოველის გვამების სპეციალურ ადგილებზე გატანა და დამარხვა;

გ) ამბულატორიების შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 04)

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ბერბუკში, ფხვენისში, საქაშეთში, ახალდაბაში, ძვერაში, ქვახვრელში, ვარიანში, ატენში, ხელთუბანში და ხიდისთავში ამბულატორიების რეაბილიტაცია; სოფელ ტინისხიდში ამბულატორიის მშენებლობა;

დ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

დ.ა) მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მხედველობის მკვეთრად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ფარგლებში.

სმენადაქვეითებულ (ყრუ-მუნჯობა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ფარგლებში;

დ.ბ) ასი და მეტი წლის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული 100 (ასი) და მეტი წლის ასაკის უხუცესების ერთჯერადი დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

დ.გ) დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები (პროგრამული კოდი 05 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლი 0-დან 18 წლამდე პაციენტის დახმარება ერთჯერადად სტაციონარული მკურნალობისათვის არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. დედ-მამით ობოლი ბავშვების და მშობლის (მშობლების) უფლებაშეზღუდულ (0-დან 18 წლამდე) შვილებს



ფულადი დახმარება გაეწევა ერთჯერადად, ყოველ ბავშვზე 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

დ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

მე-3 შვილის შეძენაზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით 0-დან 18 წლამდე 3-შვილიანი ოჯახების დახმარება.

მე-4 შვილის შეძენაზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით 0-დან 18 წლამდე 4-შვილიანი ოჯახების დახმარება.

ერთჯერადად 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით 0-დან 18 წლამდე 4-შვილიანი ოჯახების დახმარება, რომელთაც გააჩნიათ სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000-ის ჩათვლით.

ერთჯერადად თითო ბავშვზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით 0-დან 18 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება;

დ.ე) დიალიზზე მყოფი და C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების ერთჯერადი სოციალური და სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზზე მყოფი ადამიანების ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ასევე ვირუსული C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების, რომელთაც გააჩნიათ სოციალურ სააგენტოდან მინიჭებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, ერთჯერადი სადიაგნოსტიკო კვლევის თანადაფინანსება არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

დ.ვ) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით. არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70, 0-E70, 1), გლუტენის დაავადებით (ცელიაკია ICD K90, 0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70, 0-E70, 1), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების და მედიკამენტების თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, გლუტენის დაავადებით (ცელიაკია ICD K90, 0) და ფენილკეტონურიით დაავადებული ადამიანების სოციალური დახმარება განისაზღვროს ერთჯერადად, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

(0-დან 18 წლამდე) აუტიზმის სპექტრის მქონე (F84.0; F84.1) ბავშვების სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება ერთჯერადად, არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

დ.ზ) მიცვალეულთა სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 05 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:



მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიოს ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიით საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში);

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება დამკრძალავი ბიუროდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე;

დ.თ) სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ერთჯერადად იმ სტუდენტებისა, რომლებიც არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით და არა აქვთ მოპოვებული სახელმწიფო გრანტი, არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

ასევე ოლიმპიური სახეობის საქართველოს ნაკრების მოქმედ სპორტსმენებს, რომელთაც აქვთ მინიჭებული სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-ის ჩათვლით, გაეწიოთ ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

დ.ი) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ერთჯერადი დახმარება:

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც ესაჭიროებათ სამედიცინო კვლევა, რაც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით და გააჩნიათ 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად, არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნია 0-დან 150 000-ის ჩათვლით მინიჭებული სარეიტინგო ქულა, სამედიცინო სტაციონარული მკურნალობის მომსახურების თანადაფინანსება გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვროს ერთჯერადად პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;

დ.კ) ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო კვლევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით, კვლევის თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად არაუმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

უფასო მედიკამენტებით დახმარება ონკოლოგიურ (ონკოპათოლოგიურ) ავადმყოფებს გაეწევათ ერთჯერადად არაუმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო სტაციონარული მკურნალობის მომსახურების თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვროს ერთჯერადად არსებული სამედიცინო მომსახურებისათვის პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

დ.ლ) სოციალური პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:



საბიუჯეტო, არასამთავრობო, არარეგისტრირებული კავშირების, არასამეწარმეო და სხვა ორგანიზაციების თანადაფინანსება, რომლებიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენენ წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე, მუნიციპალიტეტის მონაწილეობა ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში ჩატარებულ საქველმოქმედო ღონისძიებებში;

დ.მ) უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 05 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილევსიით და პარკინსონიზმით დაავადებული; 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით, შაქრიანი დიაბეტი – ტიპი II ფორმით (ინსულინდამოუკიდებელი), ბრონქიალური ასთმით დაავადებული, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების, თვალის ქრონიკული დაავადების (გლაუკომის) მქონე ბენეფიციარების დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, ამ მუხლში აღნიშნული თითოეული დაავადების მკურნალობის ფარგლებში, გარდა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებისა;

დ.ნ) ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 15)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, დამდგარი ზარალის შეფასების მიხედვით.

ხანძრების (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) შედეგად საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება დამდგარი ზიანის მიხედვით, არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;

დ.ო) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 16)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ერთჯერადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დამატებით ერთჯერადად: საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით (26 მაისი), მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების დახმარება 300 (სამას) ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით (9 მაისი), საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით „ვეტერანის დღესთან“ დაკავშირებით (17 ოქტომბერი);

დ.პ) რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით (პროგრამული კოდი 05 05 17)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ბენეფიციარების ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით;

დ.ჟ) მიუსაფარ პირთა და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 18)



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია განსაკუთრებულ შემთხვევებში, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და მიუსაფარ პირთა ფულადი დახმარება ერთჯერადად, ოჯახზე 100 (ასი) ლარის ოდენობით;

დ.რ) მარტოხელა მშობლის დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 19)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლის, რომელთაც ჰყავთ 0-დან 18 წლამდე შვილი ან შვილები, გააჩნია 0-დან 70 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლის, რომელთაც ჰყავთ 0-დან 18 წლამდე შვილი ან შვილები, გააჩნია 70 000-დან 100 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლის, რომელთაც ჰყავთ 0-დან 18 წლამდე შვილი ან შვილები, გააჩნია 100 000-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

